ხაშურის მოამბე

№22 (444) 17 ივნისი, ორშაბათი, 2024 წელი

- ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში -

26 კაცს გაყოლილი 4 მილიონი გული

ორმოცი წელი ატარა მოსემ ერი აღთქმულ მიწამდე, ორმოცი წელი მათთან ერთად გაიარა გაჭირვება და ტკივილი და მხოლოდ ამდენი ხნის შემდეგ მიიყვანა საბოლოო წერტილამდე. ვინმე თუ ფიქრობს, რომ ეს ორმოცი წელი შემთხვევითი თარიღია, მან არც ბიბლიური ჭეშმარიტებისა იცის რამე და უფლის შეგონებებისაგანაც ძალიან შორსაა. მოსე ღმერთის რჩეული იყო და თავისუფლად შეეძლო თუნდაც ერთ წელიწადში დაესრულებინა მოგზაურობის ეს საგა, მაგრამ ძველი მენტალობით „აღჭურვილი“ ერი ვერასოდეს მოახერხებდა მთის მწვერვალზე ასვლას. ბანალური ჭეშმარიტებაა: დამარცხება თუ არ იცი, გამარჯვების უდიდეს სიხარულს ვერასოდეს შეიგრძნობ, რომ აფრინდე, ჯერ მიწის სიმყარეში უნდა დარწმუნდე.

ორმოც წელს რაღა აკლია და აგერ, 35 წელი ატარა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი ქარტეხილებმა ოღრო-ჩოღრო გზაზე. ეს 35 წელი სულ აღმართის წლებია, სიზიფესავით რომ ადიხარ, ადიხარ და აგერ სადღაც, კონტურებში, თითქოს რომ უნდა გამოჩნდეს ამ სატიალო აღმართის დასასრული, სწორედ მაშინ შვავდება მიწა შენს ფეხებთან და საწყის წერტილს უბრუნდები. კი ვნახეთ გამარჯვებები, მაგრამ ეს გამარჯვებები 81 წლის 13 მაისის სიხარულის განცდასთან რა მოსტანია.

არადა, გვქონდა ეს განცდა, გვქონდა და სულ მოლოდინში ვიყავით, რომ ოდესღაცას ისევ განმეორდებოდა. აი, სწორედ ამ „ოდესღაცას“ დასჭირდა ის საკრალური წლები. ... და მოვიდა 26 მარტი. მოვიდა და მოიტანა ის სასწაული, რომელსაც ასე ელოდა. ოთხი მილიონი ადამიანი ეხუტებოდა ერთმანეთს. ვინმეს გინახავთ მსგავსი რამ საქართველოში? იმ 13 მაისის სიხარულიც გადაჩრდილა ამ განცდამ, რადგან მაშინ, გვინდოდა თუ არა, მაინც საბჭოეთის „ შვილები“ ვიყავით, ეს კი დამოუკიდებელმა საქართველომ შეძლო, სწორედაც რომ დამოუკიდებლად. შეძლო და აჩვენა ევროპას, რომ ამ პატარა ერისაგან ეს სრულებითაც არ იყო სასწაული. კარგად აღნიშნა ერთმა ჩემმა კოლეგამ, სასწაული ის იყო, ქრისტე რომ მიცვალებულს აცოცხლებდა ან წყალზე რომ გადიოდა, თორემ ქართველებს ფეხბურთში გამარჯვებას გვასწავლის ვინმე? აგერ, „ბებერო ევროპავ“, თავი ვითომ ასაკით რომ მოგაქვს და სინამდვილეში, ჩემს სამშობლოსთან შედარებით პატარა ბალღი ხარ, ნახე ვინ ვყოფილვართ ქართველები? ჯერ სად ხართ! მთავარია, ჩვენ უკვე ვისწავლეთ ის გზა, რომელიც უცილობლად მიგვიყვანს აღთქმულ მიწამდე. თუ ვინმე თვლის, რომ ევროპის ეს ჩემპიონატი ბოლო გაჩერებაა, სულელიც ყოფილა. რადგან ერთი ვიგემეთ, აწი ნახეთ როგორ გავადარბაზოთ თითქოს მიტოვებულ ქოხად ქცეული ქართული ფეხბურთი. ევროპული ფეხბურთის ანალიტიკოსები ერთ ამბავში არიან. აჯამებენ რაღაც ციფრებს, ითვლიან შესაძლებლობებს და ამ ანალიზით 24 გუნდში ყველაზე ნაკლები შანსი ჩვენ მოგვაკერეს. ერთ ადგილას წაიღეთ ეგ თქვენი გამოთვლები. ჩვენ ბიჭებს ოთხმა მილიონმა კაცმა გააყოლა თავისი გული და ერთ პატარა მოედანზე რომ ოთხი მილიონი გული ერთად იფეთქებს, მერე ნახეთ, ნამდვილი სასწაული რა არის!

მოვდივართ ევროპავ!

დაგვხვდით, თუ ბიჭები ხართ!

P. S. თურქეთი, ჩვენი პირველი მეტოქე, სულ ფეხბურთის შვიდ დიდ ფორუმზეა ნამყოფი - მსოფლიოს ორ და ევროპის ხუთ ჩემპიონატში და უსაინტერესოესი სტატისტიკა: შვიდივეჯერ პირველი თამაში წააგო. პირველად 1954 წელს გერმანიასთან (1:4), შემდეგ კიდევ ერთ მსოფლიოზე - ბრაზილიასთან (1:2). ევროპაზე კი ორჯერ იტლიასთან, - ორჯერ - ხორვატიასთან და ეთხელაც- პორტუგალიასთან. აი, ასე! თურქეთი, ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და აუცილებლად უნდა დავეხმაროთ, რომ ეს მშვენიერი სტატისტიკური ციფრი რვამდე გაზარდონ. და ერთიც: 18 ივნისი დიდი დათო ყიფიანის დაბადების დღეა. ჩვენო ოქროს ბიჭებო, აჩუქეთ მის ლამაზ ზეციურ სულს და მთელ საქართველოს კიდევ ერთი 26 მარტი!

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2023 წელს განხორციელებული მუშაობის ანგარიში

2023 წელს, შესყიდვების გეგმის შესაბამისად, სულ განხორციელდა 295 შესყიდვა, რამაც გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა 26 708 070.43 ლარი

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გაფორმებულია 181 ხელშეკრულება 5 180 489.33 ლარის შესყიდვაზე.

ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 114 ხელშეკრულება 21 527 581.10 ლარის შესყიდვაზე.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 173 ტენდერი, საიდანაც 115 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 27 463 023.50 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს - 24 498 875.25 ლარს, ეკონომია შეადგენს - 2 964 148.25 ლარს.

2023 წლის განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან აღსანიშნავია გზების კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ:

სოფელ ნაცარგორაში - მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 595 594.60 ლარი;

სოფელ ახალუბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 386 348 ლარი;

სოფელ ალში - სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 554 662.00 ლარი;

დაბა სურამში, კიკნაძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 127 176.96 ლარი;

სოფელ ყიფიანთუბანში - გზაზე, რკ. ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 127 777.00 ლარი;

დაბა სურამში, ლესელიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა ,ღირებულებით 151 777,00 ლარი;

სოფელ ურთხვაში, გზის (I და II მონაკვეთი) მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 534 532.50 ლარი;

დაბა სურამში, გოგოლის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 102 494 ლარი;

ქალაქ ხაშურში, პროფესიული სასწავლებლის მიმდებარედ, ბეტონის საფარის მოწყობის შესყიდვა, ღირებულებით 104 233.00 ლარი;

სოფელ ბიჯნისში, მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 610 836,00 ლარი;

სოფელ გომში, მე-2 ქუჩის გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 324 800,00 ლარი;

დაბა სურამში, ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 287 521.35 ლარი;

ასევე, მითითებულ პერიოდში სხვადასხვა ლოკაციებზე განხორციელდა სკვერების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა:

ქალაქ ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 234 676.85 ლარი;

დაბა სურამში გვერდისუბნის დასახლებაში (ამაღლების ქუჩაზე) სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 104 298.82 ლარი;

ქალაქ ხაშურში ტურისტული ცენტრის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 174 500 ლარი;

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 149 107.66 ლარი;

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის (ს/კ 69.08.54.346) რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 158 885 ლარი;

სოფელ ტეზერში, მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 328 500.00 ლარი;

ქალაქ ხაშურში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 354 300.00 ლარი

ასევე, გაფორმებული ხელშკრულებების შესაბამისად, სამუშაოები ჩაუტარდა სხვადასხვა შენობა-ნაგებობას:

სოფელ ქვიშხეთში, ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 248 230.57 ლარი;

ხაშურის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 1 714 744.99 ლარი;

ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის №101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 116 664.08 ლარი;

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 83 450.59 ლარი;

ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა N43-ში (ბმა „ერთობა“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 123 739 ლარი;

სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა:

დაბა სურამში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე რუსიას ქუჩის მიმდებარედ L=307.0 მ) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 165 473,00 ლარი;

დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ L=260.0 მ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 129 332.99 ლარი

სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 411 746,00 ლარი;

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს განხორციელდა დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 2 556 976.00 ლარი. პროექტი გარდამავალია და სამუშაოების დასრულება მოხდება 2024 წელს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელებული მრავალწლიანი შესყიდვებიდან აღსანიშნავია:

სოფელ ნაცარგორაში, მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა;

სოფელ ბიჯნისში, მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;

ხაშურის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის (ს/კ 69.08.54.346) რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა;

დაბა სურამში, ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა;

სოფელ ტეზერში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ ხაშურში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე, მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში, 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

მათგან, სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტების, სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის, დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტების და ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება ფინანსური რესურსის მოძიების გამო მოხერხდა 2023 წელსვე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულებები სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების: 3 ერთეულ ნაგავმზიდისა და 1 ერთეული ამწე-კალათის შესყიდვაზე, ჯამური ღირებულებით 1 368 960.00 ლარი.

თინათინ ხაჩიძე,
მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე, რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ზვიად ქურდაძესთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ქვიშხეთში, წრომსა და ზეკოტაში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას გაეცნო. ქვიშხეთში ასფალტის საფარი ეწყობა, რომლის სიგრძეც 1320 მ-ს შეადგენს. წრომსა და ზეკოტაში კი სანიაღვრე არხების მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღორებულებაც ჯამში 1.7 მილინ ლარს შეადგენს.

სამუშაოების დასრულება უახლოეს მომავალში იგეგმება.

ვლადიმერ ბარბაქაძეს დამსახურებული ჯილდო გადაეცა

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა ხაშურელი მეცნიერი ვლადიმერ ბარბაქაძე მოინახულეს და ხაშურის საპატიო მოქალაქის მედალი და მოწმობა სიმბოლურ საჩუქართან ერთად გადასცეს.

ვლადიმერ ბარბაქაძე ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს. იგი ამერიკის ორი შტატის საპატიო მოქალაქეა. დიდი დათვის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს სწორედ აკადემიკოს ვლადიმერ ბარბაქაძის სახელი დაერქვა. იგი გახლავთ ავტორი ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომებისა სამშენებლო კონსტრუქციების სფეროში.

ვლადიმერ ბარბაქაძეს ხაშურის საპატიო მოქალაქის წოდება 2023 წელს, ხაშურქალაქობის დღესასწაულზე დაუსწრებლად მიენიჭა. ამჯერად, მეცნიერს დამსახურებული ჯილდო პირადად გადაეცა.

პედაგოგთა რეგიონული კონფერენცია

ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ორგანიზებით, პედაგოგთა რეგიონული კონფერენცია გაიმართა თემაზე: "წარმატებული სასწავლო პრაქტიკის გაზიარება".

კონფერენცია გახსნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ინეზა ელისაშვილმა. კონფერენციის შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა. მათ ხაზი გაუსვეს პედაგოგის პროფესიის მნიშვნელოვნებას და უდიდეს როლს მომავალი თაობის სწორი ღირებულებებით აღზრდის საქმეში.

კონფერენციას ესწრებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, აუდიტორიაში წარმოდგენილნი იყვნენ პედაგოგები, სკოლის ადმინისტრაციების და რესურს-ცენტრების წარმომადგენლები ხაშურის, ბორჯომის, ქარელის, ხარაგაულის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებიდან.

ხაშურის დელეგაცია სტუმრად - ლატვიაში

ხაშურის მუნიციპალიტეტის ოფიციალური დელეგაცია მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ლომიძის და განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ნინო ღონღაძის შემადგენლობით ლატვიაში, ხაშურთან დამეგობრებულ ქალაქ ბაუსკაში იმყოფებოდა.

დელეგაციასთან ერთად ლატვიურმა მხარემ "ოქროს მუხის" ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვია ქორეოგრაფიული ანსამბლი "ფრესკა" და მისი ხელმძღვანელი ელენე რატიანი, რომელთა გამგზავრებაც ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

ხაშურელი მოცეკვავეები ლატვიელი მაყურებლის წინაშე სპეციალური პროგრამით წარსდგნენ ბაუსკასა და იეცავაში და მრავალრიცხოვანი აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ბაუსკას მუნიციპალიტეტმა "ფრესკასგან" საჩუქრად ქართული ტრადიციული სამოსიც მიიღო, რომელიც ბაუსკას მუზეუმში ფესტივალის ფარგლებში გამოიფინა და იქვე დაიდებს ბინას.

ხაშურსა და ბაუსკას პარტნიორული ურთიერთობა ათ წელზე მეტ ხანს ითვლის.

ნინო ბარბაქაძის წარმატება კონკურსზე

საქართველოს ნოდარ დუმბაძის სახელობის ახალგაზრდა ლიტერატორთა კავშირის მიერ, 2024 წლის 23 იანვარს, მეხუთე - მეთორმეტე კლასების მოსწავლეებისათვის გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში, სახელწოდებით: „იქნებ ვაზია სამშობლო", მონაწილეობდა სსიპ ხაშურის #1 საჯარო სკოლის მე-7 ა კლასის მოსწავლე ნინო ბარბაქაძე საკუთარი ლექსით. გამარჯვებულები სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა. გამარჯვებულ ავტორთა ორიგინალური ნაშრომები დაიბეჭდება ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება" და გამოიცემა წიგნად.

სწორედ გამარჯვებულთა შორისაა ნინო ბარბაქაძეც. გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ნიჭიერი ხაშურელი გოგონას კონკურსზე წარდგენილ ლექსს.

იქნებ ვაზია სამშობლო?

იქნებ, ვაზია სამშობლო,
ან საჩუქარი ღვთის.
იქნებ, სევდაა მწუხარე,
ან სიყვარული მზის.

დიახ, ვაზია სამშობლო,
ლოცვა ერის და ცის.
ღმერთისგან ნაკარნახევი,
სიტყვის კონაა ის.

მტევნები ზედ რომ არ სჭკნება,
სულ მუდამ მწიფს და მწიფს.
ისინი კაცნი არიან-
მზისა, ღვთისა და ცის.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21)

გაუმარჯოს მშრომელ სოლიდრობას ამიერ-კავკასიის ყველა ერებს შორის! გაუმარჯოს კომინტერნს და მის დიად მებრძოლებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საქმისათვის!

გაუმარჯოს კომუნიზმს!”.

როგორც ვხედავთ, მიტინგი არა მარტო აჯანყების მონაწილეების, არამედ ყველა ,,...ანაფორიანების, ჩარჩ-ვაჭრების, მემამულეების, ავანტურისტ მენშევიკების გენერლების“ და სხვათა მკაცრად დასჯას მოითხოვენ.

იმავე დღეს, იმავე რკინიგზის მუშათა კლუბში, კვლავ იმართება მუშა-მოსამსახურეთა და მშრომელ მასწავლებელთა საზოგადო კრება, რომელზეც კვლავ მენშევიკების ე. წ. ,,ავანტურის“ საკითხი იდგა. აბობოქრებული ,,ხაშურის მუშების ხმა“ (ასეა დასათაურებული ინფორმაცია გაზეთში) ცას წვდებოდა:

,,კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ხაშურის მუშა-მოსამსახურენი მხარში უდგებიან ,,ჩოხიან-ანაფორიანების“ მთავრობის ასალაგმავად, რომლებმაც მოინდომეს ჩვენი მუშათა ცხოვრების დარღვევა.

ხაშურის მუშა-მოსამსახურე მოითხოვს მთავრობისგან, რომ მუშა-მოსამსახურეთა სისხლის მსმელი ბანდიტები დაისაჯონ უსასტიკესი სასჯელით – სიკვდილით.

მუშის რისხვა ბანდებს!

ზიზღი კონტრ-რევოლუციონერებს!

სალამი წითელი არმიის, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის მებრძოლს!

სალამი ბანდიტების გამნიავებელ მუშათა ძლიერ ხმას!“.

და ხაშურში, მის რაიონში დაიწყო ,,მენშევიკების ავანტურის მონაწილეთა“ რეპრესიები. ,,ბანდიტების გამნიავებულ მუშათა ძლიერ ხმას“ ამოფარებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირადი შეხედულებისამებს, ყოველგვარი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს გვერდის ავლით, განახორციელეს უდანაშაულო ადამიანთა რეპრესიები, რომელითაც არავითარი კავშირი არ ჰქონებიათ აჯანყებასთან. ძირითადად ესენი იყვნენ თავად-აზნაურობის, სამღვდელოების, ინტელიგენციის, ვაჭრების წარმომადგენლები. მათ ფიზიკურ განადგურებას მოითხოვდნენ ზემოდანაც და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელისუფლება დამკვრელური ტემპით შეუდგა ზემოდან წამოსული დირექტივის განხორციელებას.

აჯანყების დღეებშივე ხაშურის რაიონში დაპატიმრებულ იქნა არაერთი ადამიანი, რომელთა ერთი ნაწილი ადგილზე დახვრიტეს, ხოლო მეორე ნაწილი. აქვე, გორის საპატიმროში, ელოდა განაჩენს.

ხაშურში დააპატიმრეს და დახვრიტეს დიმიტრი (მიტუშა) აბაშიძე, მიხეილ (მიხა) დაბრუნდაშვილი, ნიკო სიხარულიძე...

მიტუშა აბაშიძე ზემო ჭალაში (დღევანდელი ჭალისუბანი) სახლობდა. როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები გადმოგვცემენ, იგი არ ყოფილა ,,სახელგანთქმული გლეხების აწიოკებითა და დარბევით“ .

ვლადიმერ არბოლიშვილი გვიამბობს: ,,მიტუშა აბაშიძე დარდიმანდი, მოქეიფე კაცი იყო. ბატონყმობა გადავარდნილი იყო, მაგრამ თავის ძველ უფლებებს ებღაუჭებოდა. მიუხედავად ამისა, ბოროტი არ იყო. უბრალოდ ცხოვრობდა, ყვითელი ბუშლატი ეცვა, მენშევიკების ფორმა. მენშევიკების გვარდიაშიც იყო“.

ალბათ, ამიტომაც დახვრიტეს, არ აპატიეს რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში გვარდიაში მსახურობდა.

მიტუშა აბაშიძეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი ელუსია, რომელიც ცოლად გაჰყვა მამულაიშვილს. მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც პაპის სახელი დაარქვეს. ელუსია მშობიარობის შემდეგ გარდაიცვალა და პატარა დიმიტრის აღზრდა დიდმა ბებიამ - ანეტა ყიფიანმა-აბაშიძისამ იკისრა. მამულაიშვილებს ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ ხიმშიაშვილებთან. ცნობილმა მწერლებმა კოტე და დოდო ხიმშიაშვილებმა აბაშიძეების თავს დატრიალებული ამბები შემოიტანეს ქართულ მწერლობაში. კერძოდ, ლევან აბაშიძის მეუღლის, დიმიტრის (მიტუშას) დედის - ანა ზაალის ასულ ყიფიანი-აბაშიძისა პროტოტიპი გახდა კოტე ხიმშიაშვილის ნოველის ,,ბებია ელისაბედისა“ და დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას ,,მზისფერი კაბის“ მთავარი გმირები. დოდო ხიმშიაშვილს ეკუთვნის ორი მოგონება აბაშიძეების შესახებ. ერთ-ერთ მოგონებაში იგი წერს: ,,ჩემს ბიძაშვილს მიტო მამულაიშვილს, ჰყავდა პაპის დედა ანნა ყიფიანი-აბაშიძისა. მიტო დიდ დიდედას ბაბუშკას ეძახდა და ჩვენც მთელი ნათესაობა ასე მივმართავდით, ძალინ საპატივცემულო, დარბაისელ, თავდაჭერილ, უკეთილშობილეს, კეთილ ადამიანს. გარეგნულად არ იმჩნევდა თავის დიდ დარდს ქალბატონი ანნა, მაგრამ მისი ნაღვლიანი, ჭკვიანი თვალები ყველაფერს ამბობდა.

მე და ჩემი ბიძაშვილი მიტო, უკვე სტუდენტები ვიყავით. ბაბუშკა ავად გახდა. ხშირად დავდიოდი, ვაკითხავდი მოხუცს, ვუჯექი თავთან, ვესაუბრებოდი, ვუყურებდი და სულ მუდამ ჩემი ხელი ეჭირა საუბრის დროს.

ერთხელ მითხრა: ,,რაღაც უნდა გიამბო, შვილო, შენ მიმიხვდები, რატომაც მინდა აღმოვთქვა ეს ჩემი დარდი”.

,,ხაშურთან ახლოს სოფელია ჭალა, სადაც ჩემს მეუღლეს შესანიშნავი სახლი და დიდი მამულები ჰქონდა. მე, ადრე დავქვრივდი, დამრჩა პატარა ბიჭი, დიმიტრი, რომლის სახელი ეხლა ჩემს შვილიშვილს ჰქვია, შენს ბიძაშვილს... კარგად ვცხოვრობდით, მაგრამ ჩემთვის, ახალგაზრდა ქალისათვის გაუსაძლისი იყო ის სიმყუდროვე, რომელიც იდგა ჩემს სახლში და მის გარშემო...

...გავიდა ხანი, მიტუშა გაიზარდა, ცოლი შეირთო. შესანიშნავი გოგონა შეეძინა ელუსია, ეს ბავშვი მატანინებდა ჩემს სიმარტოვეს და ძალინ კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთში, თავისუფლად შემიძლია, ვთქვა, მე ავღზარდე, ჩემს კალთას არ შორდებოდა, მაგრამ ისევე როგორც ჩემი ელუსიაც გაიბადრა, დამშვენდა კიდევ უფრო, ულამაზესი იყო და ბიძაშენმა ილიკო მამულაიშვილმა ცოლად შეირთო...

ეტყობა ბედნიერება დიდხანს არ გრძელდება, მოხდა რევოლუცია, ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს საქართველო, როგორც კი შეეძლოთ, სასტიკად აწიოკებდნენ თავადაზნაურობას, ხვრეტდნენ, დილეგში ყრიდნენ, უწვავდნენ სახლ-კარს. ერთ დღეს ჩემი მიტუშა ქალაქში აპირებდა წასვლას. ის იყო, ცხენს შემოახტა, რომ შემოცვივდნენ ჯარისკაცები და დააპატიმრეს, თავზარდაცემული დავრჩი, ღამე საშინელი სროლა ისმოდა მტკვრის მხრიდან, მარამ რა იყო, არაფერი ვიცოდით, არც მე, არც სოფელმა. მთელი ღამე ფეხზე მდგომმა გავატარე, გავიდოდი აივანზე, შევყურებდი ღამეს, შემოვდიოდი ასე დავწრიალებდი. განთიადზე მოურავი შემოვიდა და მომახსენა, გლეხები გეახლენ, ქალბატონო, კაცი და ქალი მოთქმით მელაპარაკებოდა, მე ვიდექი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ზეციდან ცივი წყალი მესხმოდა, გლეხებმა დიდის მორიდებით ვაივიშით მაცნობეს: ამოჟლიტეს ბატონო ჩვენი კარგი კაცები, ხოდაბუნებში ჩამარხეს, ახლა წავიდნენ ის წყეულები და მოსვლა გავბედეთ საზარელ ადგილას, ქალბატონო მიწა სუნთქავს და მგონი ცოცხლები არიან რა ვიღონოთ?” იქვე უსულოდ დავეცი და რამდენიმე დღე გონზე ვერ მომიყვანეს.

გავიდა ხანი, თოვლი ჩანდა მიწაში დახვრეტილებს რა უქნა მიწამ, ცხოველმან, ზამთარმა ვინ გაიგებდა, ვინ იყო პატრონი.

ისევ მეახლენ გლეხები, ძლივს ამოილუღლუღეს: ხოდაბუნები უნდა გადავხნათ, ხორბალი უნდა დავთესოთ, ქალბატონო, თორემ შიმშილით დავიხოცებითო. საოცარი კვნესა აღმომხდა ,,ეს არ ქნათ ჩემო ძვირფასებო, ცისფერ სისხლით გაპოხილ მიწაზე მოწეული ხორბალი არ აჭამოთ თქვენს ნაშიერსა.” ქუდმოხდილმა გლეხებმა თავები დახარეს და ხელი გაკვირვებით გაშალეს, მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდათ ,,მაშ რა ვქნათო?” ცოტა დამაცადეთ თქვენი ჭირიმე, - ვუთხარი, რაღაცას მოვიფიქრებთ, მე თქვენ მშივრებს არ დაგტოვებთ.

რამდენიმე ხანში, ჩემი უზარმაზარი ტყე გავყიდე, გლეხებს თავი მოუყარე, ფული დაურიგე აი, ამით იყიდეთ ხორბალი და აჭამეთ თქვენს ცოლ შვილს. რამდენიმე დღეში სახლიდან გამოგვრეკეს, სხვა რა გზა გვქონდა, თბილიში წავედით და იქ სამსართულიან ჩვენ საკუთარ სახლში დავბინავდით...

სულ მალე ელულიას და ილიკოს ბიჭუნა შეეძინათ, პატარა იყო სამი წლის დედა რომ დაეღუპა, ჩემი ელულია, ეს კიდევ ერთი თავზარი იყო ჩემთვის, ილიკო ახალციხეში გადაიხვეწა, თვალს მოეფარა, მაგრამ ოცდაჩვიდმეტ წელში მაინც დააპატიმრეს და დახვრიტეს. ასე სიობლეში და სიღატაკეში გავზარდე ჩემი მიტო.მაგრამ როგორი ბიჭია შენც კარგად იცი, თვალია უნივერსიტეტის.

სულ მალე სახლი ჩამოგვართვეს, სასახლის ქუჩაზე, ვორონცოვის სასახლის გვერდზე, მდგომი სახლის ორ პაწაწინა ოთახში შეგვასახლეს.

ვორონცოვის სასახლეში მაშინ ბოლშევიკები მოღვაწეობდნენ.

ჯერ ომი კიდევ იყო ბაბუშკა ძალინ დამძიმდა და გარდაიცვალა.

იმ გაჭირვების წლებში გვერდით ვედექით მიტოს, მაგრამ ჩვენც რა შეგვეძლო? 1942 წელს, მამა და ჩემი ძმა კოტე ხიმშიაშვილი მწერალი და მეცნიერი დააპატიმრეს და ოქტომბრის ჩვიდმეტს დახვრიტეს თავის თექვსმეტ მეგობართან ერთად.

1934 წელს, ჟურნალ ,,ჩვენს თაობაში,” თექვსმეტი წლის კოტე ხიმშიაშვილმა დაბეჭდა საკმაოდ გაბედული იმ დროისათვის ნოველა ,,ბებია ელისაბედი”. მოთხრობას დიდი გამოხმაურება მოყვა. ეს მოთხრობა ანა ყიფიანი-აბაშიძის ბიოგრაფიაა.

ჩემი მოთხრობა ,,მზისფერი კაბა”-ც ანას ბიოგრაფიის ტრაგიკული ნაწილია.

მიტო მამულაიშვილი ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი, სწავლასთან ერთად რადგან სხვა სახსარი არ გააჩნდა, მუშაობდა რადიო კომიტეტში. ,,იზვესტიის კორესპოდენტად.

1945 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დიპლომი, დაცვის დამთავრების უმალ ფეხზე წამოდგა ბრწყინვალე პიროვნება, პროფესორი კოტე ბაქრაძე, მან შეაქო მიტოს ნამუშევარი და განაცხადა: ,,მე თავისუფლად შემიძლია დავიხურო ქუდი და უნივერსიტეტი მშვიდად დავტოვო, იმიტომ, რომ ჩემს ადგილას ვიცი ღირსეულად დაიჭერს მიტო მამულაიშვილი.

ბატონი კოტეს შემდეგ კიდევ რამდენიმე პროფესორი გამოვიდა და ასეთი დიდი ხოტბა შეასხეს მიტოს. დიდი მომავალი იწინასწარმეტყველეს და უსურვეს ბედნიერება.

მაგრამ სულ მალე მიტო დააპატიმრეს, როგორც კოტე ხიმშიაშვილის საქმის გამგრძელებელი ,,ეს დიდი ხნის შემდეგ რეაბილიტაციის მიღების დროს გამოირკვა, რომ არ იყო მართალი. მიტო ათი წლით გადაასახლეს ვორკუტაში, ორი წელი როგორღაც დედამ შეინახა საქართველოში და კოლონიაში იხდიდა სასჯელს, ეს კოლონია განთავსებული იყო კონიაკის ქარხნის ტერიტორიაზე დიღომში, რაც დიდუბის ტრამვაის უკანასკნელი გაჩერებიდან ხუთი კილომეტრით იყო დაშორებული, მაშინ მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო დიღმის ამ ტერიტორიაზე. მიუხედავად დიდი გასაჭირისა, მაინც ვახერხებდით მე და დედა სულიერი და ფიზიკური სიძლიერე შეგვენარჩუნებინა მიტოსთვის. დარჩენილი რვა წელი მიტომ ორკუტაში მოიხადა.

გათავისუფლების შემდეგ ისეთი სახელი ჰქონდა, ვორკუტის საბადოების გენეტალურ დირექტორად დანიშნეს, რადგან ბრწყინვალედ უძღვებოდა თავის საქმეს. დამატებით ვორკუტაში არსებულ ლენინგრადის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილიალის ასპორანტებს ლექციებს უკითხავდა.

შესანიშნავად მომზადებული სტუდენტები აღფრთოვანებას იწვევდნენ ლენინგრადის პროფესორებში. ბოლოსდა ბოლოს იკითხეს: ,,საიდან იცით ასე კარგად საგანი?“. ,,ვორკუტის საბადოების მშენებლობის გენ-დირექტორი დიმიტრი ილიას ძე მამულაიშვილი გვიკითხავს ფილოსოფიის ისტორიას და მისგან მივიღეთ ასეთი დიდი განათლება”.

სულ ცოტახანში, ლენინგრადის რამდეიმე პროფესორი თვითონ ეწვია ვორკუტაში, ჩამოუტანეს საჩუქრად ფილოსოფიის ისტორიის საპატიო დოქტორის დიპლომა.

ვორკუტაში მიტოს მეუღლეს ვერა მამულაშვილი (უკრაინელი ქალი გახლდათ) შეეძინა ბიჭუნა, რომელსაც გიორგი დავარქვით. იგი ახლაც ვორკუტაში წარმატებული ინჟინერია და იქვე ცხოვრობს.

მიტო მამულაიშვილი საქართველოში დავკრძალეთ, უამრავი ხალხი ჩამოვიდა ვორკუტიდან, 606 დეპეშა მივიღეთ ვორკუტელებისაგან. წლის თავზე, მუხიანის სასაფლაოზე, ვორკუტიდან ჩამოტანილი მარმარილოს საფლავი გაუკეთეს დიდი პორტრეტით“. როცა დასახვრეტად წაუყვანიათ ზემო სერისკენ, ერთი რკინის მანეთიანი ამოუღია, რაც ებადა თურმე.

მასთან ერთად დახვრიტეს მიხა დაბრუნდაშვილი. იგი ვაჭრობას ეწეოდა და საკმაოდ მოზრდილი მაღაზია გააჩნდა დღევანდელი კოსტავას ქუჩის დასაწყისში მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საცხოვრებელი ბინების გასწვრივ. პირველი გილდიის ვაჭრად ითვლებოდა. საქონელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან შემოჰქონდა. მისი მაღაზია განთქმული ყოფილა. მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაბმული ყოფილა. ეწეოდა ქველმოქმედებას. ხაშურის სხვა ვაჭრებთან ერთად მას საკმაოდ მოზრდილი თანხა გაუღია ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის შენობის (პირველი საშუალო სკოლა) მშენებლობისთვის.

ამისთვის სრულიად უმნიშვნელო მიზეზიც საკმარისი იყო იმ დროს.

ვაჭარი იყო, ვაჭრობას ეწეოდა. ეს იყო და ეს. სხვა ანტისაბჭოთა თუ კონტრევოლუციური საქმიანობისაგან იგი შორს იდგა. ზემოდან კი დაშვებული იყო დირექტივა - ვაჭრების ფიზიკურად განადგურების შესახებ და აკი ხაშურშიც გამართული მიტინგების მონაწილეებიც თავიანთ რეზოლუციებში ამას მოითხოვდნენ.

ამიტომაც არის, როცა გაზეთმა ,,მუშამ“ ხაშურში დახვრეტილთა სია გამოაქვეყნა, მიხეილ დაბრუნდაშვილი სპეკულიანტად მოიხსენიებდა. სხვაგვარად ალბათ ხელისუფლება ვერც ახსნიდა თუ რატომ ხვრეტა მიხეილ დაბრუნდაშვილს.

აი რა, გვიამბო მიხეილ დაბრუნდაშვილის შვილმა, ბატონმა გრიგოლ (გრიშა) დაბრუნდაშვილმა მამის შესახებ: ,,მე მაშინ ძალზე პატარა ვყოფილვარ. რასაც ვიხსენებ, დედაჩემისგან, ჩემი დებისგან და ბიძაჩემისაგან გამიგონია... მამაჩემი თურმე რუსეთში აპირებდა წასვლას საქონლის ჩამოსატანად. უნდა წასულიყო ღამის მატარებლით სამ საათზე. იმ ღამეს დაახლოებით პირველ-ორ საათზე მოსულა ორი მილიციონერი... მამაჩემს ძინებია, გასულა დედაჩემი. მათ უთქვამთ, რომ მიხას მილიციაში იბარებენო. დედას უთქვამს, რომ რუსეთში არის წასულიო. გაბრუნებულან უკან. როცა დედაჩემი სახლში შემობრუნებულა, მამაჩემს გაღვიძებია და ზეზე, რომ დაუნახავს დედაჩემი, მიზეზს შეკითხვია. მას გარეთ გასვლა მოუმიზეზებია, მაგრამ შეუმჩნევია, რომ რაღაც აღელვებული და გაფითრებული ყოფილა. ბოლოს მაინც უთქვამს სინამდვილე. ეს, რომ გაიგო მამაჩემმა, წამომხტარა ლოგინიდან, გაუღია კარები და ხმამაღლა დაუყვირია: - ეი, რომლები ხართ, უკან მობრუნდითო. მათ გაუგონიათ ძახილი და მობრუნებულან. მამაჩემს ტანთ ჩაუსვამს, აუღია წინასწარ გამზადებული ფულიც და დედაჩემისთვის უთქვამს: - გავივლი მილიციაში და იქიდან სადგურზე გავალო.

დილით თურმე დედაჩემს გააგებინეს, რომ მიხა დაიჭირესო. დედაჩემი მაშინვე გაქცეულა მილიციაში, მაგრამ წესიერად პასუხი არ გაუციათ.

რამდენიმე საათის შემდეგ სახლში მოსულან შვიდი თუ რვა მილიციონერი. ყვირილით შემოცველინან სახლში, ჯერ პატარა ოთახიდან გამოუტანიათ ავეჯი, მერე კი ჩვენ, - დედაჩემი, ჩემი ორი და და მე შიგ შეუყვანივართ, მოუკეტიათ კარები და უთქვამთ, თქვენი ხმა არ გავიგონოთო. თვითონ კი დაუწყიათ ყველა ოთახიდან ავეჯის გატანა. მთლიანად რომ გაზიდეს ავეჯი, ამასობაში დაღამებულა კიდეც. ერთ მილიციონერს გაუღია ჩვენთვის კარები და უთქვამს, არავითარი წივილ-კივილი არ გავიგონოთ, არც სხვაგან გადადგათ ფეხიო.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ინტელექტუალური თამაში „ბიგ რაუნდი“ დასრულდა

მორიგი სეზონის ფინალური შეხვედრა, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი ბესიკ გაჩეჩილაძე უძღვებოდა, ბათუმში ჩატარდა.

კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლები, უკომპრომისო ბრძოლის შედეგად გამოავლინა გამარჯვებული - ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის გუნდი. მეორე ადგილზე ქვიშხეთის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა, მესამე ადგილი კი ხაშურის მეშვიდე საჯარო სკოლის გუნდს ერგო.

ინტელექტუალური კონკურსის გამარჯვებულებს პრიზები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიად გოგუაძემ, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ.

„ბიგ რაუნდი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით ყოველ სასწავლო წელს ტარდება და მასში მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია “ბიგ რაუნდის” მხარდაჭერისთვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრს და ორგანიზაციას “ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის”, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ინტელექტუალური თამაშის მასპინძელი იყო.

- ხელოვნება -

„ფრესკა“ ხაშურელი მაყურებლის წინაშე წარსდგა

ხაშურში, მუნიციპალურ ანსამბლ „ფრესკას“ კონცერტი გაიმართა, სადაც ასევე მონაწილეობდნენ მუსიკოსი მიშა წითელაშვილი, მსახიობი ზვიად დოლიძე და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტი ლევან ტაბატაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

კონცერტმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

დასასრულს, „ფრესკას“ ქორეოგრაფებმა ელენე და გიორგი რატიანებმა, მუნიციპალიტეტს, მადლობა გადაუხადეს მხარდაჭერისთვის.

მცირე მეწარმეობიდან მსხვილ ბიზნესამდე - ძმები გუდა და ლადო გრიგალაშვილები

ნებისმიერი საზოგადოება მოძრაობის, მატერიალური წარმოების გარეშე წარმოუდგენელია, სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი, ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი გაზეთი რომ აქტიურ მხარდაჭერას უცხადებს სიტყვით და საქმით ახალგაზრდა მეწარმეებს, მკითხველმა კარგად იცის. ხაშურელი ძმების მიერ 21 და 23 წლის ასაკში დაწყებული, დღეს უკვე წარმატებული საქმიანობის შესახებ დავწერთ. ნებისმიერი ბიზნესი გულისხმობს წარმოების, მარკეტინგის, ფინანსებისა და პერსონალის მართვას და ამ მიმართულებით თავის გამოცდილებას საოჯახო ბიზნესის „ბორა-ბორას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გოდერძი (გუდა) გრიგალაშვილი გააზიარებს.

როგორ იწყებოდა „ბორა-ბორა“?

- არ ვიცი, საიდან დაიწყო... რეალურად, საოჯახო ბიზნესის, „ბორა-ბორას“ წამოწყების იდეა ჩემს ძმას, ლადოს ეკუთვნის.

- რა არის „ბორა-ბორა“?

„ბორა-ბორა“ სწრაფი კვების ობიექტია, ერთ-ერთ სტრატეგიულ ადგილას მდებარე. დასაწყისში ვიფიქრეთ, პატარა სწრაფი კვების ობიექტი გაგვეკეთებინა დრაივის სახით... თუმცა, შემდეგ მივიღეთ მარკეტინგული გადაწყვეტილება, უფრო მაღალი დონის ობიექტი დაგვეარსებინა დახვეწილი ინტერიერით, მყუდრო, თბილი გარემოთი, მაღალი ხარისხის საკვებითა და მომსახურებით, რომელიც გათვლილი იქნებოდა არა მარტო ქალაქის მოსახლეობაზე, არამედ საქართველოს ვიზიტორებზე, ტურისტებზე. ფაქტია, რომ ხაშური აღმოსავლეთ დასავლეთ მხარის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი ობიექტია.

-რატომ სახელწოდება „ბორა-ბორა“? ერთი მოსმენით მსოფლიოში ცნობილი კურორტის ასოციაცია ჩნდება...

არა, ეს მამის ზედმეტსახელია, იგი ქალაქის კოლორიტული ადამიანია, ფეხბურთის, ხაშურის „ივერიის“ ერთგული გულშემატკივარი. მას ასე იცნობენ, „ბორას“ უწოდებენ. ვიფიქრეთ, რომ სახელწოდება უნდა ყოფილიყო მოსასმენად ეფექტური, ადვილად დასამახსოვრებელი, ცოტა განხილვის საგანიც მომხმარებლისთვის, ადგილობრივებისთვის. აი, ძალიან ბევრ სახელს განვიხილავდით, ძალიან ბევრს და უცბად ყველას ერთად მოგვივიდა იდეა, მოდი დავარქვათ „ბორა-ბორა“.

- და ცნობილი ბრენდიც გახდა...

- კი, გახდა. ძალიან ბევრი ადამიანი სტუმრობს ჩვენს კვების ობიექტს. მე ძირითადად მარკეტინგს ვუზრუნველყოფ, ჩემი ძმა, ლადო უშუალოდ ობიექტის გამართულობასა და

(გაგრძელება VI გვერდზე)

მცირე მეწარმეობიდან მსხვილ ბიზნესამდე - ძმები გუდა და ლადო გრიგალაშვილები

(დასასრული)

ხარისხის ხაზზე მუშაობს. ვინაწილებთ მოვალეობებს, რადგან ამ საქმიანობის გარდა სხვა ბიზნეს მოვალეობებიც გვაქვს. ჩემი ძმის ძალიან დიდი წვლილია ჩემი ერთ-ერთი უდიდესი წარმატებული ნაბიჯის გადადმისას. ერთად დავაფუძნეთ „ბორა-ბორას“ შვილობილი კომპანია „გუდას ქეითერინგი“. სულ რაღაც ერთი წუთის შუალედში გაჩნდა

იდეა. მოდი შექმენი ფეიჯი „გუდას ქეითერინგი“, ჩვენი პროდუქტი დავაპატარაოთ, ვიზუალურად დავხვეწოთ, გავალამაზოთ და სხვადასხვა ღონისძიებებზე შევთავაზოთ მომხმარებელს... და იდეაც ამოვქოქეთ, ავაფუთფუთეთ, გავმართეთ და დღემდე აქტუალური და მოთხოვნადია „გუდას ქეითერინგის“ მომსახურება.

- წარმატებული იდეების და ბიზნესის ინსპირაცია?

- ინსპირაცია? მე, ჩვენ ... ბავშვობიდანნვე მომწონდა მსგავსი სიატუაციები, მიყვარს ხალხმრავლობა, მიყვარს „ქაოსი“, მიყვარს აქტიური ცხოვრება, მიყვარს დაღლილს კიდევ უფრო მეტად მუშაობა და ჩემი რესურსის გახარჯვა, ჩემთვის სტიმულია აქტიური, დატვირთული, მრავალფეროვანი ცხოვრების რიტმი.

-„ბორა-ბორა“ 5 წლის არის და თავისი შვილობილი კომპანიებით დღემდე ინარჩუნებს პოპულარობას, დღემდე მოთხოვნადი და მზარდი ბრენდია და დღემდე მუშაობთ აქტიურად. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს თქვენს წარმატებას?

- იცი რა? ძალიან დიდი შრომაა ჩადებული ამ ყველაფერში. მოთხოვნა-მიწოდების ფორმულა მუშაობს ძალიან ეფექტურად. ადამიანები დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ჯანსაღი, კარგი პროდუქტი შეეთავაზებათ მათ. ხარისხი კი არის უმაღლესი, რაც დღეისათვის ძალიან ჭირს ქვეყანაში, ყველას ეჭვი ეპარება პროდუქციის ხარისხიანობაში, მით უფრო, როდესაც გარეთ იკვებება ადამიანი, ყოველ ჯერზე ბრუნდება და ჩვენი სისტემატიური მომხმარებელი ხდება. ძალიან იშვიათად ვუშვებთ შეცდომას. ვცდილობთ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მომხმარებლის დაკვეთა და მყისიერად შევასრულოთ მისი მოთხოვნა, ვცდილობთ, იგივე და უკეთესი ხარისხის პროდუქტი გვქონდეს

მყიდველისათვის და, რაღა თქმა უნდა, ინტერიერით, შიდა სივრცით და ასორტიმენტით, მრავალფეროვანი არჩევანით კიდევ უფრო შთამბეჭდავს ვხდით ჩვენს საოჯახო ბრენდს. ყოველ წელს სეზონურად ვგეგმავთ რა უნდა განახლდეს, მოწესრიგდეს, გაუმჯობესდეს, მუდმივად განახლებადია მენიუც. გვაქვს სააქციო შეთავაზებებიც... სამომავლოდ, საზაფხულო ცხელი გეგმები გვაქვს. „ბორა-ბორას“ მომხმარებლებისათვის გვექნება გათამაშებები კონკრეტული თანხის შენაძენზე, ვთავაზობთ ფასდაკლებებს, სიურპრიზებს...

- დავუბრუნდეთ „გუდას ქეითერინგს“. თქვენს მიერ ბაზარზე დაკავებულ ნიშა ძალიან მოთხოვნადი, პოპულარული და წარმატებული აღმოჩნდა. განსხვავებული და ორიგინალურიც... ჩვენს სივრცეში ახალი ქეითერები ხართ.

- კი, ძალიან კარგად მუშაობს კომპანია. ვუზრუნველყოფთ ძირითადად კორპორატიული სტუმრების საფურშეტო მომსახურებას. ეს იქნებ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები. საქართველოს მასშტაბით გვაქვს სერვისი. იქნება ეს ბათუმი, ქუთაისი, თბილისი, მცხეთა, საგურამო, წყნეთი, კიკეთი... ვემსახურებით ნებისმიერი ტიპის ღონისძიებას. „გუდას ქეათერინგი“ გულისხმობს კვების მომსახურებას, მიწოდების სერვისს, ინვენტარს, დიზაინს. ვაორგანიზებთ ყავის შესვენებას, ლანჩს, ეგრეთ წოდებულ „დინერებს“, „ლანჩბოქსებს“. ნებისმიერი ტიპის ღონისძიებას..

ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მაშტაბური ღონისძიება, რომელსაც „გუდას ქეითერინგი“ უწევდა საფურშეტო მომსახურებას, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსის ეიკონის კონცერტია. მანამდე იყო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ველქამ ფართი“, უნივერსიტეტის 1500 სტუდენტის დახვედრა ვეგეტარიანული მენიუთი. აქვთ რამოდენიმე საწყობი თბილისში, მცხეთაში, საგურამოსა და ნატახტარში, დამხმარე სამზარეულო და სამზადი სივრცეები.

- პარალელურად, მენეჯმენტს ვუწევ ხაშურში ერთ-ერთ საბანკეტო სივრცეს. საქორწინო და სარიტუალო დარბაზს. ასეთი დატვირთული დამრავალფეროვანი საქმიანობის ფონზე მე, ჩემი ძმა და ჩემი მეგობრები ვცდილობთ შევინარჩუნოთ ხარისხი, ის ნიშა, რითაც მყარად გავედით ბაზარზე. მხარში გვიდგას დედა, რომელიც ჩვენი სული და გულია. ბავშვობიდან არის ჩვენი მხარდამჭერი. მთელი ოჯახი ჩართულია საოჯახო ბიზნესში. ძალიან დიდი გუნდი ვართ. წარმატებულ მენეჯმენტში მეხმარება ჩემი გამოცდილება, პრაქტიკა, უნარი კრიზისული სიტუაციების სწრაფად და ეფექტურად მართვის.

- ის, რაც გამოარჩევთ და იდენტობას ძენს ძმების საოჯახო ბიზნეს საქმიანობას, არის ურთიერთობები.

- კი, კი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ურთიერთობები. ნებისმიერ სფეროში, სიტუაციაში, ნებისმიერ ადამიანთან შემიძლია მარტივი კომუნიკაცია. ბევრ ცნობილ, პოპულარულ ადამიანთან ვთანამშრომლობ და ვმეგობრობ. ასეთმა მიდგომება შემაძლებინა გადამედგა, ხშირად, სარისკო ნაბიჯები და ჩვენი საქმიანობა გამხდარიყო მზარდი და პოპულარული.

- თავისუფალი დრო

თავისუფალი დრო? ეგ ყველაზე რთული კითხვაა. თითქმის მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილი მაქვს ყოველი დღე. შეიძლება ითქვას, რომ არ მაქვს თავისუფალი დრო. თუმცა, ძალიან მიყვარს მოგზაურობა მეგობრებთან ერთად და დამიჯერეთ, იქაც ვმუშაობ ონლაინ. ამ საქმიდან არ არსებობს გათიშვა, დღე და ღამე ხარ ჩართული. თავისუფალი დრო მართლა არ მაქვს, მაგრამ ყველაფერს ვასწრებ, ყველაფერს ვახერხებ. უსაქმურობის დროს ვწუწუნებ. კეთების დროს ხარ მეტად აქტიური, კომუნიკაბელური, პროდუქტიული. ამ ყველაფერმა ძალიან გამიადვილა მიზნის მიღწევა, ბევრი გავაკეთე და ბევრსაც გავაკეთებ.

- რჩევა თანატოლებს...

მე ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, სადაც მარტივია მცირე ბიზნესის გაკეთება. ნებისმიერი რამის გაკეთება შეუძლია ჩვენს თაობას, სოციალური ქსელით, ხელსაქმით. თუნდაც მარკეტინგის მხრივ, შეუძლია სოციალურ ქსელში რაღაცა გაარეკლამოს, გააპიაროს, კონტენტი შექმნას. პირველ რიგში, უნდა იყო მიზანდასახული. ძალიან ბევრი პრობლემა, დაბრკოლება გავიარეთ. ადამიანები, ვისაც ვენდობოდით და ვეყრდნობოდით, აღარ მყავს გვერდით, მაგრამ მთავრია მიზანი დაისახო და თქვა: მე ამას შევძლებ, მე ეს შემიძლია. უმნიშვნელოვანესია ასევე შენი ზურგი, კარგი გუნდი, ვინ გეხმარება.

ახალგაზრდა მეწარმე ძმების ბიზნესიდეები მუდმივად კრეატიული, განახლებადი **და თანამედროვეობაზე მორგებულია. მათ ბიზნესში დასაქმებული ადამიანები მათი დიდი და კეთილი ოჯახის წევრები ხდებიან და ერთად შრომობენ თავდაუზოგავად ერთი საქმისათვის. მათთვის უცხო არც პროფესიონალიზმი და წარმატებაა, არც ქველმოქმედება და გვერდში დგომა და დახმარება. „ბორა-ბორა“ ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათია. წარმატება ძმები გრიგალაშვილების საქმიანობას!**

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.